

## ტენიანი სუბტროპიკული ტყის ნიადაგების როლი ეროვნული პარკების მდგრადობისათვის (მტირალას ეროვნული პარკის მაგალითზე)

### ქეთევან ცხვედაძე

ელ.ფოსტა: [qeti.cxvedadze@tsu.ge](mailto:qeti.cxvedadze@tsu.ge);

*გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი,  
ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,  
ი.ჭავჭავაძის პრ. #3, 0179 თბილისი*

დაცული ტერიტორიების სისტემის ჩამოყალიბება საქართველოში ემსახურება თვითმყოფადი ბუნებრივ-კულტურული გარემოსა და მისი ცალკეული კომპონენტების მომავალი თაობებისათვის შენარჩუნებას, ადამიანის სულიერი და ფიზიკური ჯანმრთელობის პირობების დაცვას და საზოგადოების ცივილიზებული განვითარების ერთ-ერთი უმთავრესი საფუძვლების შექმნას.

დაცული ტერიტორიები საქართველოში იქმნება უმნიშვნელოვანესი ეროვნული მემკვიდრეობის უნიკალური, იშვიათი და დამახასიათებელი ეკოსისტემების, მცენარეთა და ცხოველთა სახეობების, ბუნებრივი წარმონაქმნებისა და კულტურული არელების დასაცავად და აღსადგენად, მათი სამეცნიერო, საგანმანათლებლო, რეკრეაციული და ბუნებრივი რესურსების დამზოგავი მეურნეობის განვითარების მიზნით გამოყენების უზრუნველსაყოფად.

ეკოლოგიურად სუფთა გარემო ქმნის იდეალურ პირობებს სასმელი წყლის მარაგის სტაბილურობისა და სისუფთავისათვის. სასმელად ვარგისი მტკნარი წყლის რეზერვები ერთის მხრივ არათანაბრადაა გადანაწილებული მთელ მსოფლიოში, მეორეს მხრივ, წყლის რესურსები სულ უფრო მცირდება და ამიტომ მსოფლიოში დიდი მნიშვნელობა ენიჭება წყლის მოფრთხილებას – რაციონალურად გამოყენებას და დაბინძურებისაგან დაცვას. ხშირ შემთხვევაში ნიადაგში არსებული სხვადასხვა ელემენტები და ტენიანი კლიმატი ხელს უწყობს არსებული ბალანსის დარღვევას და ადგილი აქვს როგორც ზედაპირული ისე გრუნტის წყლების დაბინძურებას.

მრავალწლიანი დაკვირვებები ზედაპირული წყლების ხარისხის დინამიკაზე მიუთითებს წყლის ობიექტებში დამაბინძურებელი ნივთიერებების ექსტრემალური მაღალი შემცველობის შემთხვევების რიცხვის ზრდას.

ინტენსიურ სოფლის მეურნეობაზე გადასვლის პროცესმა, პესტიციდების გამოყენების არანორმირებულმა და უკონტროლო მოხმარებამ, აგრეთვე მეცხოველეობის ინტენსიურმა განვითარებამ და ეფექტური მონიტორინგის სისტემის არარსებობამ სერიოზული ზიანი მიაყენა ეკოსისტემას და უპირველეს ყოვლისა მიწისზედა და მიწისქვეშა წყლის რესურსებს.

უკანასკნელ პერიოდში სერიოზული ყურადღება ექცევა ზედაპირული წყლის ობიექტების ეკოლოგიური მდგომარეობის საკითხებს, ზედაპირულ წყალსატევებსა და წყალსადენებზე ტექნოგენური ზემოქმედების დონის შეფასებას, ტექნოგენური წარმოშობის პოლუტანტების გამოვლენას. ზედაპირული წყლების ხარისხის, მათი ეკოლოგიური მდგომარეობის და დაცვის მონიტორინგი ქვეყანაში სისტემატურ ხასიათს არ ატარებს. ამასთან არ არის შემუშავებული მათი დაბინძურების ხარისხის განსაზღვრის კრიტერიუმები. აღნიშნულიდან გამომდინარე, ზედაპირული წყლების ეკოქიმიური გამოკვლევა, ბუნებრივი და ტექნოგენური დაბინძურების წყაროების განსაზღვრა, მათი წილი ჯამურ დაბინძურებაში წარმოადგენს აუცილებელ და აქტუალურ ამოცანას, რამდენადაც ისინი გამოიყენება როგორც სასმელ-სამეურნეო, ისე რეკრეაციული მიზნებისათვის.